ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2019 წლის იანვრიდან დღემდე საქმიანობას.

კომისიის შემადგენლობაში არის 9 დეპუტატი:

1. ოთარ ლურსმანაშვილი
2. ზურაბ ხაჩიძე
3. ბესო ტალახაძე
4. ირაკლი ფერაძე
5. ინგა მაღრაძე
6. დავით მაღლაფერიძე
7. ვარლამ ჭიპაშვილი
8. პავლე კიკალიშვილი
9. გივი ხიჯაკაძე

კომისია- თავისი უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის ,, ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტისა და კომისიის დებულების“ შესაბამისად.

კომისია- საკითხებს სამოქმედო გეგმის შესაბამისად განიხილავდა ,ასევე განიხილავდა საკრებულოს მუშაობის პროცესში წარმოშობილ დამატებით საკითხებს,ამასთანავე შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფდა საკრებულოში პროცედურული ნორმების დაცვას. ჩვენი კომისია საკრებულოს აპარტთან ერთად პასუხისმგებლობას იღებდა იღებს საკრებულოს მიერ მიღებული სამართებრივი აქტების კანონშესაბამისობაზე.

კომისიამ- საანგარიშო პერიოდში ჩაატარა 26 კომისიის სხდომა აქედან 14 მორიგი და 12 კი რიგგარეშე სხდომა. კომისიამ მოახდინა 2019 წელს ჩატარებული საკრებულოს სხდომების კენჭისყრის შედეგების შეჯამება.

კომისიას- უმეტეს შემთხვევაში საკითხების გახილვა უწევდა რიგგარეშე სხდომებზე და მცირე დროში, რაც გამოწვეული იყო საკრებულოს სხდომების ინტენსვობითა და აქტიური მუშაობით.

კომისია- აქტიურად იყო ჩართული 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცესში და დამტკიცებაში , საფინანსო- საბიუჯეტო კომისიასთან ერთად შევიმუშავეთ საბიუჯეტო შენიშვნები და მივმართეთ მერიას მათი გათვალისწინების მიზნით.

კომისიამ- განიხილა საკითხი ,რომელიც ეხებოდა სოფელ ზვარეში ყოფილი ბანაკის ტერიტორიის გარკვეული ნაწილის ფიზიკურ პირზე გადაცემას. მოგეხსენებათ,რომ აღნიშნული ტერიტორია არის მუნიციპალიტეტის საკუთრება და სასამართლოში მიმდინარეობს დავა დაინტერესებული მოქალაქის მხრიდან, რის შემდგომაც კომისიას უნდა მიგვეღო გადაწყვეტილება შემდგარიყო თუ არა შეთანხმება მუნიციპალიტეტსა და მოქალაქეს შორის,თუმცა კომისიის მხრიდან აღნიშნულ შეთანხმებას ერთხმად ეთქვა უარი და გადაწყვეტილება შესაბამისი დასკვნის სახით ჩაიგზავნა მერიაში.

საკრებულოში -შემოვიდა წერილი, რომელიც ეხებოდა სოფელ ჩხერში ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული გია ლურსმანაშვილის სახელი. ჩვენმა კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი -მოიძია საჭირო დოკუმენტები და უფლებამოსილების ფარგლებში გასცა დადებითი დასკვნა.

მოგეხსენებათ 2019 წელს ხარაგაულში ჩამოყალიბდა სალოტბარო სკოლა, აღნიშნულ სკოლის შექმნას წინ უძღვოდა სამართლებრივი საკითხების გავლა, რომელთა განხილვაც მოხდა კომისიაში და გაიცა დასკვნები.

კომისიამ -განიხილა საკითხი,რომელიც ეხებოდა ხარაგაულის ტერიტორიაზე არსებული იუსტიციის ცენტრები და მათში მოქმედი ბანკების იჯარის თანხის შემცირებას. საკითხზე მერიის შესაბამის სამსახურთან ერთად იმუშავა კომისიამ და გასცა უარყოფითი დასკვნა.

კომისიამ -მოისმინა ინფორმაცია შიდა აუდიტისა და მონიტორიგის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ და განიხილა მათ მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციების შემოწმებისას შემუშავებული დასკვნები.

კომისიამ მოისმინა მერიის სახვადასხვა სამსახურების მუშაობის ანგარიშები და გააკეთა შეფასებები.

აქვე აღვნიშნავთ,რომ კომისიის წევრთა მხრიდან ადგილი არ ჰქონია ხშირ გაცდენებს და ქვორუმის არ არსებობის გამო კომისიის სხდომა არასოდეს ჩაშლილა.

კომისია- აქტიურად,კონსტრუქციულად და კოლეგიალურად თანამშრომლობდა საკრებულოს წევრებთან,საკრებულოს თანამდებობის პირებთან,ფრაქციებთან კომისიებთან და საკრებულოს აპარატთან. ჩვენ ვგეგმავთ მომავალშიც გავაგრძელოთ ნაყოფიერი თანამშრომლობა და აქტიური საქმიანობა .

იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო

საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ოთარ ლურსმანაშვილი